# ერი

№ 23

წელიწადი მეორე

1914

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ . . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ხუთშაბათი, 30 იანვ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ე რ ი"

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

| გაზეთის ფასი: | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.


პოლკოვნიკი დავით ივანეს ძე და ანა ივანეს ასული ბარათოვები, ძმები ანტონ, ილარიონ და ბესარიონ თომას ძენი ლორთქიფანიძენი, დები მელანია თომას ასული ჯაფარიძისა, და ანასტასია თომას ასული ბაქრაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გადაიცვალა პირველი ორის დაუვიწყარი და საყვარელი დედა, მეორე და მესამეთა ძვირფასი და

ეკატერინე თომა ლორთქიფანიძის ასული ბარათოვისა,

რომლის გამოსვენებისა და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია დღით პარასკევს, 31 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, ოლდენბურგის ქუჩაზე, წერეთლის სახლში. პანაშვიდი ყოველდღე საღ. $5^1/_2$ ს.


„რ ა დ ი უ მ ი"

ხუთშაბათიდან, 30 იანვრიდან ნაჩვენები იქნება ახალი საუცხოო პროგრამა.

I.

პატე-ჟურნალი.

II.

მოცეკვავე-ციკლებების დოღი.

საინტერესო სურათი.

III.

მონოპოლური, სენსაციური სურათი

ცხოვრების ქუჩაზე.

თანამედროვე დრამა 3 მოქმ.

მონაწილეობს გამოჩენილი მსახიობი ქალი

ჟენი პორტენ.

VI.

ჰაკამონის ვრძნობა ორეულია.

კომიკური. პროგრამის გარეთ

ტ ა ნ გ ო.

ოთხნაირი ცეკვა: არგენტინის, ბრაზილიის, ესპანური და სალონის.



18 დეკემბრიდან

დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ია. ცინცაძე.



1914 წლის 2 იანვრიდან

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

კანცელარია

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

КОНТОРА

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.



ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო საავადმყოფო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რუდიკიოვის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| გ. ა. ამაშუკელი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის | 10—12 |
| ა. ა. რუდიკიოვი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბუთაბოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქარქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

საავადმყოფოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

საავადმყოფოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.



ამერიკული ვაზების სანერგე ქუთაისში

„კოლო ყლურული"

ყოველთვის ურჩევს მიწის ნიადაგის მიხედვით შესაფერი დამყნობილი ვაზების არჩევას, აფრთხილებს მემამულეებს რუპესტრისზე დამყნილი ვაზების ხმარებისაგან, რომელიც იძლევა ნაკლებ მოსავალს და ღვინოც ღირსებით ნაკლები ხარისხის გამოდის, და რომელიც იწვევს ყველაზე მეტს სოკოს გავრცელებას საძირეზე. დამზადებული გვაქვს გასაყიდათ: ცოლიკოური, კრახუნა, ციცკა, წვანე, რქაწითელი, საფერავი, ოცხანური და ბევრი სხვა ჩვენებური და ევროპიული ჯიშისა და აგრეთვე საგობე საჭმელი ყურძნის ჯიშის, რომლებიც დამყნილია სხვადასხვა საძირეზე ყოველნაირი ნიადაგის მიწებისათვის. სალვინე ღვინის ვაზების ფასი—1000—65 მან. პრეისკურანტი იგზავნება უფასოთ.



იყიდება კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობებს გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.


## „ფიქრის" დოკუმენტებზე.

ქვემოთ მოგვყავს ვ. გელოვანის წერილი.

თანდათან ირკვევა „სიფაქიზე" იმ საბუთებისა, რომელიც გაზ. „ფიქრმა" მოათავსა დეპ. გელოვანის წინააღმდეგ. ასეთი გულღვარძლიანობა უტყუარი სახეა ბრაზმორეული ჩვენებური დასელებისა, რომელნიც კარგა ხანია გამეტიჩრებული არიან ბატონობით, გამარჯვებით და, რაკი ამ ბოლოს ფონმა უღალატა მათ ბევრგან, ვინ იცის, რა ზომასა და რა ხერხს არ კადრულობენ, რო მოწინააღმდეგენი უდიერათ, უტიფრად მოიხსენიონ.

ბევრგან, ბევრჯერ თვით მათიანებისგანაც ვისმენთ დღეს ჩვენ, რომ უეთიკობა იყო ასეთი „საბუთების" გაზეთის ფურცლებზე მოთავსებაო. მაგრამ განა იმათ მოქალაქობრივი გამბედაობა შესწევთ, რასაც აგერ პირადათ გეტყვიან, სიტყვიერათ, იგივე დასწერონ, საგაზეთოდ გახადონ, გამოამზეურონ პრესაში. ხშირი ყოფილა და ხშირია დღესაც იმის მაგალითი, რომ რასაც იყვიან სიტყვით, იმის გამოქვეყნება რო წერილობით მოსთხოვო, თავის ნათქვამს ალოკვენ—ეს ტაკტიკაა მათი.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ „ფიქრის" დოკუმენტები კარგა ხანია ერთს მათიანს ქონია, არც ფიქრობდა მათ გამოქვეყნებას, იმდენი გონიერება შესწევდა, რომ არ სცნობდა მათ საგაზეთო მასალათ, მაგრამ შემთხვევით მისი საბუთები სხვა გულ-ღვარძლიანს, უფრო გამწარებულს ხელთ ჩაუვარდა და გამომზეურდა. ახლა პილატესავით ისიც ხელს იბანსო.., იწვნიეს უეთიკობა თავისი მოქმედებისა, ესმისთ საყვედურები თავისიანებისგანაც, მაგრამ სად არის მოქალაქობრივი გაბედულობა, ყველა ეს აღიარონ... ეს ტაკტიკის წინააღმდეგი იქნებოდა.., და ისვრიან და ისვრიან ტალახს... მაგრამ ნაწილი ამ ტალახისა დაუბრუნდათ მათვე და სრულად კი მისი კუთნილებისამებ დაბრუნება სასამართლოს საქმე იქნება.

## ვ. გელოვანის წერილი.

გაზეთ „რუსკოე სლოვოს" ამა წლის 24 იანვრის ნუმერში დაბეჭდილია წერილი დეპუტატი ვ. გელოვანისა რედაქციის მიმართ:

„დაბეჯითებით გთხოვთ მოათავსოთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე შემდეგი ჩემი განცხადება:

„რუსკოე სლოვოში" გადმობეჭდილი იყო ქართული გაზეთის „ფიქრის" წერილი ჩემდამი ასეთის სათაურით: „ბრალდება დეპუტატ-გელოვანის წინააღმდეგ". ამით ვაცხადებ, რომ ყველაფერი, რაც მოყვანილია ამ ბრალდებაში ჩემს წინააღმდეგ—გარდა საკასაციო საჩივრის ვადის გაშვებისა, რის აღსადგენათ მაშინვე იყო მიღებული ზომები,—მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა, და ამას დავამტკიცებ სასამართლოს საშვალებით. ამასთანავე უნდა აღვნიშნო სამწუხაროთ, რომ ეს გამოლაშქრება არის გაგრძელება ბრძოლისა ჩემსა და სოც. ფედერალისტების პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც მე ვეკუთნი. ბრძოლა დაწყებული იყო სახელმწიფო სათათბიროს ჩემი წევრათ არჩევისთანავე. სამწუხაროთ სამედიატორო სასამართლოს განაჩენმა, რომელიც ახლახან გამოცხადდა, არაფერი ასწავლა ჩემს მოწინააღმდეგეებს.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, რომელთაც გადაბეჭდეს „ბრალდება" ჩემს წინააღმდეგ, გადაბეჭდონ ეს ჩემი განცხადება"-—

## მოსკოვის ქართულ კულტურულ წრეში

მომხდარი ინციდენტის გამო.

მოსკოვის უნივერსიტეტში ილია ჭავჭავაძის სახელობაზე არსებულს ქართველ სტუდენტთა კულტურულ წრეში მომხდარი უთანხმოება თამარის ხსოვნის აღნიშვნის გამო ერთი იმ მოვლენათაგანია, რომელიც გვაიძულებს მწუხარების თვალით ვუცქიროთ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას და მომავალსაც ნაღვლიანათ ვუყურებდეთ.

აზრთა სხვადასხვაობა, როგორც საზოგადოთ სჩვევია ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას გადავიდა პიროვნების შეურაცხყოფაზე და მოპირდაპირეთა შორის ლანძღვაგინებაზე. ყველაფერზე უფრო სავალალო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ის, ვისაც თავისი თავი ყველაზე უფრო კულტუროსან ადამიანათ მოაქვს, თავისი საქციელით მხოლოდ თავისსავე უკულტურობას გვიმტკიცებს; ყველა მისი ნალაპარაკები თუ ნაწერი უფრო ლანძღვა-გინებას წარმოადგენს, ვიდრე ფაკტის არსებითად განხილვას. მერე რამ გამოიწვია ასეთი უკიდურესობა? იმან, რომ წრის უმრავლესობას სურდა საერთო ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობა მიეღო. თავისთავათ ცხადია, ის წრე, რომელსაც ქვია ქართული კულტურის მოყვარეთა წრე, ვერ აუხვევს გვერდს მას, რაც აინტერესებს განათლებულ ქართველთა დიდ უმრავლესობას. შეიძლება ყველა ჩვენგანს არ ქონდეს ერთნაირი შეხედულება ისეთს ღირსშესანიშნავ ისტორიულ ფაკტზე, როგორიც არის თამარი და მისი მოღვაწეობა, მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს უფლებას ისე დაუფიქრებლათ და უდიერათ. შევეხოთ ამ ფაკტს, როგორც ბ. Yoldemar ი შვება. ამ ადამიანის მსჯელობიდან ჯერ ვერაფერი გავიგეთ ლანძღვის მეტი; სადაო საგანი ყოველთვის ბუნდოვანი და გამოურკვეველი რჩება. ვიცით მხოლოდ, რომ ის წინააღმდეგია თამარის იუბილესი. ხოლო როგორ ყავს მას წარმოდგენილი თამარი, ეს კი ვერ გავიგეთ გარკვეულათ. როდესაც პირველათ აიძრა თამარის იუბილეს საკითხი ჩვენს წრეში, მაშინ, ბ. Yolqemar-ის სიტყვით თამარი, აბსოლუტიზმის წარმომადგენელი და მისი უკიდურეს წერტილამდი გამავითარებელი იყო; გავიდა დრო და თამარი მისი მსჯელობით ფეოდალურ-მონარქიის წარმომადგენელათ იქცა. ბ. Voldemar-ი ადარებს მას და ლუი XIV-ს, ხან ჰოჰენცოლერნებს, ხან ჰამსბურგებს და ხან კიდევ ვის, მაგრამ ყველა ეს შედარება მხოლოდ იმას გვიჩვენებს' რომ ეს „პუბლიცისტი" ცოტა არ იყოს ნაკლებათ იცნობს ჩვენს წარსულს. ჩვენი საკამათო საგანი მას უნდა გამოერკვია სხვა ერთა ისტორიის ფაკტებით, ეს კი ავიწყდება, რომ ჩვენი ერი ძლიერ განმარტოებულათ სდგას თავისი წარსულით, რომ მისი ისტორია მეტათ თავისებურია ისე, როგორც ამ ისტორიის შემქნელი ფაკტორები. საკამათო საგნის გამოსარკვევათ საჭიროა უპირველეს ყოვლისა ამ თავისებურობის ცოტათი გამორკვევა და ნათელყოფა. ჩვენ გვეუბნებიან, თამარის მზგავსი პირები ძლიერ ხშირია ისტორიაში, და თუ მათ მეფობას არ ვდღესასწაულობთ, რატომ თამარს უნდა ვსცეთ ასეთი განსაკუთრებული პატივიო; ერთგვარი გაუგებრობაა, რომელსაც გაფანტავს თამარის ორიგინალობისა და თავისებურობის გამორკვევა. ამისთვის კი გადავავლოთ თვალი ზერელედ იმ დროის პოლიტიკურ ძალთა განწყობილებას, დავიწყოთ თამარის ახლო წინაპრებიდან.

მეფე ბაგრატი, რომელმაც 1008 წ. შეაერთა ქართლი და აფხაზეთი და ამით დაიწყო არაბების დროიდან დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება, პირველი გამომხატველია ბაგრატიონთა დინასტიის ლტოლვილებისა. და საქართვე-

ლოს შეერთება ერთი მეფის ხელქვეით და არაბთა ბატონობის დროს გაძლიერებულ ერისთავთა დასუსტება და დამორჩილება—აი ამ დინასტიის უახლოესი იდეალი. სავსებით ახორციელებს ამ იდეალს პირველი მისი მატარებელი ბაგრატ მეფე ქართლისა და აფხაზეთის შეერთებას შემდეგ, ის აფართოებს თავის სამფლობელოს კახეთისა და ჰერეთის შემოერთებით საქართველოს გაერთიანებისთვის ის ღალატობს სტუმართმოყვარეობის ტრადიციებს და ვერაგულად ღუპავს თავის ნათესავს, კლარჯეთის მეფეებს, მათი საზმანებულის შემოერთებისათვის. ამგვარათ ბაგრატმა, პირველათ აფხაზთა მეფემ, საძირკველი ჩაუყრა საქართველოს გაერთიანებას; იმავე გზით მიდიოდენ მისი თანამომავალნიც; ზოგი ნაკლები და ზოგი მეტი ძალით ხელს უწყობდა საქართველოს გაერთიანებას.

მაგრამ მიზნის მისაწევათ საჭირო იყო ცოტათი მაინც ხელის შემწყობი გარემოებაც, ხშირი ომი გარეშე მტერთან კი ყოველთვის ხელს უშლიდა გაერთიანების საქმეს; ჩვენის ეს აზრით არის უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზი სახელმწიფოებრივი მთლიანი ერთეულის შექმნისთვის. მიუხედავათ ამისა, ბაგრატიონების ცდას ტყუილათ არ ჩაუვლია და თუმცა საქართველოს რომელიმე ნაწილი, როგორც მაგალითად კახეთ-ჰერეთი, ხშირათ ცალკე დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა. მეფეების მათთან მუდმივმა ბრძოლამ იმდენათ დაასუსტა მათი დროებითი დამოუკიდებლობა, რომ დავით აღმაშენებელმა ადვილათ შესძლო მისი სრულად მოსპობა. საჭიროა, ცოტათი შევჩერდეთ ამ შესანიშნავ ადამიანზე. რას წარმოადგენს მისი მეფობა? უმთავრესათ საქართველოს გაერთიანებისთვის დაუღალავ შრომას, ქვეყნისა და კერძოთ მეფის უფლების გაძლიერებისთვის შეუწყვეტელ ბრძოლას. არაოდეს მეფის უფლება ისეთი ძლიერი და შეუზღუდველი არ ყოფილა, როგორც დავით აღმაშენებლის დროს. მან კარგათ იცოდა, რომ მისი მოწინააღმდეგე ერისთავნი საკმარის ძალას წარმოადგენდენ, მათ დასამორჩილებლათ საჭირო იყო შესაფერი სამხედრო ძალა, სწორეთ ამიტომ შეადგინა მან ყიფჩაღთა რაზმი, რიცხვით 50,000, რომელიც გაწურთნა თვის ერთგულობაში. ამ ჯარით მან მალე ალაგმა მისი მოწინააღმდეგენი; ბევრი მათგანი კიდეც გაძევა სამშობლოდან. მეფეს „არა რა დაეფარვოდა", მან ყველაფერი იცოდა, სად რა ხდებოდა მის სამეფოში. ჩანს მას ჯაშუშებიც ყავდა, რომელთა დახმარებითაც ის სპობდა „ორგულობასა და ზაკვასა და ღალატსა". შინაურ მტრებთან ბრძოლა იმ ზომამდი მივიდა, რომ დავით აღმაშენებელს ბევრი მოწინააღმდეგეც გაუჩნდა იმათგანაც კი, ვინც სამშობლოს კეთილდღეობის სურვილით იყო გამსჭვალული; მარტო ბრძოლა ქვეყანას დააქცევსო გაიძახოდენ; მათ აკლდათ დავითის შორსმჭვრეტელობა.

ასეთი წინაპრები ყავდა თამარს მთლიანი სახელმწიფოს შექმნაში. ბ. Yoldemar-ი კი იმეორებს გერმანელი პროფესორის ჰელდაკის აზრს: „ქართველი მეფეები სრულიად არ ცთილან გაბატონებულ სისტემასთან ანგარიში გაესწორებიათ, საქართველოში უფრო მაღალი სახელმწიფოებრივი ძალა განეხორციელებიათო". დიდ ბოდიშს ვიხდით ბ. პროფესორთან, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს შეხედულება ბაგრატიონთა დინასტიაზე უსაფუძვლო უნდა იყოს, ხოლო თქვენ, ბ. Yoldemar, თქვენს აზრს ასეთ შემთხვევებში, შემთხვევით წაკითხულ წიგნებზე არ უნდა ამყარებდეთ, ცხვირის წინ რაც გიდევთ, ჩაიხედავდით. დავითის სიკვდილს შემდეგ მეფესა და ფეოდალთა შორის ბრძოლა ისევ თავს იჩენს; გარეშე მტრებთან ბრძოლა ხელს უწყობს შინაური მტრების მოსულიერებას, ორივესთან ერთად ბრძოლა კი შეუძლებელია.

ეს მშვენიერათ იგრძნო თამარმა; მისი სახელმწიფო ნიჭი სწორეთ აქ გამოჩანს, რომ მან სავსებით შეიგნო ყველა შედეგი, რომელიც თან მოყვა ქალის პირველათ გამეფებას და მიხვდა დროზე როგორ პოლიტიკას უნდა დასდგომოდა. ყოველი მხრიდან თავი წამოყვეს მტრებმა: შიგნით—ერისთავები, რომელთაც, რომ უფრო ეგრძნობიებიათ თამარისთვის მისი მათგან დამოკიდებულობა, არ დასჯერდენ მამისგან თამარის მეფეთ კურთხევას, და როგორც გადაიცვალა გიორგი III, თვითონ ხელახლათ აკურთხეს იგი მეფეთ „სრულ ყვეს" და გადასცეს სახელმწიფო ხმალი. გარეშე მტრებმაც გაიხარეს, როდესაც ქალი დაინახეს სამეფო ტახტზე. რა უნდა ექნა ამ შემთხვევაში თამარს? როგორ პოლიტიკას უნდა დასდგომოდა, რომ საქართველოს მოპოებული ძალა არათუ დაეკარგა, არამედ უფრო გაეძლიერებია? ის გრძნობდა მის გვერდით ფეოდალთა გაწვრთნილს ფიზიკურ ძალას; ამ ძალის შეჩერება და დადუმება შეუძლებელი იყო; მას გზა უნდა ქონოდა, გზა-კი შეიძლებოდა ორნაირი: ან გარეშე მტრებთან ბრძოლა და საქართველოს გადიდება და გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობდა ეროვნული კულტურის განვითარებას, ან კიდევ მეფის უფლებასთან ბრძოლა, ერთმანეთში ქიშპობა და კინკლაობა, რის შედეგიც უნდა ყოფილიყო მეფის უფლების გაძლიერება, მაგრამ ამასთანავე სამხედრო ძალის დაქსაქსვა, საერთო დაქვეითება და შეიძლება თვით საქართველოს მტრის ლუკმათ ქცევაც. ამ ნაირათ თამარის წინ არჩევანი იყო: ან თვისი უფლების განმტკიცება და გაძლიერება, რაც ნიშნავდა დინასტიური პრინციპების დაცვას, ან მთელი საქართველოს ამაღლება. მან უკანასკნელი ამჯობინა და საქართველოს მთელი სამხედრო ძალა მიაპყრო გარეშე მტრებთან ბრძოლას; თამარის პოლიტიკა ამ შემთხვევაში სწორეთ შესანიშნავია, მით უფრო, რომ ამ პოლიტიკის განხორციელებას ხელს უწყობდა თამარის და დიდებულთა შეთანხმება მასში და აგრეთვე ჯვაროსანთა ომის გამო საქართველოს უმთავრესი მტრების, თურქების, სამხედრო ძალის განიწვლება. შედეგათ კი ამ პოლიტიკას მოყვა ქართველი ერის ყოველმხრივი აყვავება. სწორეთ მაშინ გამოიჩინა მან თავისი სულიერი ძალა და არაოდეს მას არ უგრძვნია თავისი თავი ისე მაღლათ და ძლიერათ, როგორც მაშინ. ვინ იყო ამ დიდების უმთავრესი მიზეზი? ჩვენი აზრით, მხოლოდ თამარი. ამიტომ არ არის გასაკვირი თუ ის აამაღლა ქართველმა ერმა და ჩარიცხა წმინდანათ და „ღვთისა სწორათ". ქართველმა ხალხმა თამარი გაამღმერთა და მისი სახით თაყვანი სცა თავისი საკუთარი პიროვნების განმადიდებელს და ამმაღლებელს; თამარი შეიქნა მისი საკუთარი „მე", მისი უმაღლესი გამომხატველი. განა შეიძლება სავსებით დაათასოთ ისეთი ადამიანის პიროვნება, რომლის სიდიადე და ფეროვნებაც ოდნავაც არ შემცირებულა 8 საუკუნის განმავლობაში?

თუ რომელიმე ჩვენი ახალგაზდა „ისტორიკოსი" ლამობს „კრიტიკის ქარცეცხლში" გაატაროს მისი პიროვნება, ეს მხოლოდ მოგვაგონებს პატარა ფინიას, რომელსაც უნდოდა თავისი თავი გამოეჩინა იმით, რომ სპილოს უყეფდა.

ასეთი „ისტორიკოსების" გამორკვევით თამარი აბსოლუტიზმის უმაღლეს წერტილამდი გამავითარებელია, ის კი ავიწყდებათ, რომ მან სრულიად უღალატა დინასტიურ ინტერესებს. რა მოყვა დიდებულთა გაფიცვას, რომელიც მოხდა თამარის ტახტზე ასვლისას? დაითხოვეს ყუბასარი „ამირ სპასალარი და მანდატურ უხუცესი" „ერთგული" და „კარგი მოყმე", დაითხოვეს აგრეთვე აფრიდონი „აზნაურობის ყმობისგან... ამაღლებული და განდიდებული, ვიდრე მსახურთ უხუცესობამდი". ყველა ეს თამარის დათმობის შედეგი იყო. ეს მოძრაობა დიდებულთა წრემ შექმნა და მხოლოდ მათი ინტერესების გაძლიერებას ემსახურებოდა. ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ ვხედავთ ამბოხებას, რომელიც სხვა მიზანს ემსახურება, ამ ამბოხებაში ფეოდალები სრულიად არ იღებენ მონაწილეობას, მისი მეთაურია მეჭურჭლეთა უხუცესი ყუთლუ არსლან „გვართა უაზნოთაგან", მაგრამ სიმდიდრით ამაღლებული. ეს ამბოხება უფრო პოლიტიკურ რევოლუციას გავს, მისი მიზანია შინაგან საქმეთა მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება; მას მეტი მომხრეებიც ყავდა. თამარი ამ შემთხვევაშიც დათმობის გზას ადგია; ის ათავისუფლებს შეპყრობილ ყუთლუ არსლანს მეამბოხეთა მოთხოვნით. ასე თუ ისე გამარჯვებული ზნეობრივათ მაინც მეამბოხენი გამოდიან. ყველა ეს კი მეფის უფლებათა შეზღუდვას მოასწავებს. ცხადია მაშ, რომ აბსოლუტიზმის გაძლიერებას თამარს ვერ მივაწერთ, და თუ ამას ვინმე ჩადის, ის ჩვენის აზრით, შემცდარია. თამარი ამ შემთხვევაში ღალატობს თავის წინაპართა პრინციპს, მაგრამ ამას მოითხოვს ქვეყნის კეთილდღეობა, ეროვნული კულტურისა და თვითშემეცნების გაძლიერება და განვითარება. კიდეც შესძლო თამარმა ყველა ამის განხორციელება.

ნურვის უკვირს ამიტომ, თუ დღეს განათლებულ ქართველთა უმრავლესობა მის ხსოვნას პატივს სცემს; ეს არ არის როგორც გონია მათ, ვინც ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს, აბსოლუტიზმის თაყვანისცემა, შავრაზმელობა და სხვა. ეს არის მხოლოდ ქართველთა ბედკრული ცხოვრების ერთადერთი სანატრელი და ყოველმხრივ შესანიშნავი დროის აღნიშვნა. ჩვენს ხსოვნაში, იმ ადამიანის სახით, რომელიც მისი შექმნის უმთავრესი მიზეზია. თამარი და მისი დრო განუყოფელია, მიზეზ-შედეგია ერთისა და იმავე მოვლენის, და სწორეთ ამიტომ ჩვენმა მოსწავლე სტუდენტობამაც მოინდომეს მისი ხსოვნის აღნიშვნა. ამას უწოდა ბ. Voldemar-მა წრის ნეიტრალიტეტის დარღვევა, მისი პარტიულ ნიადაგზე დაფუძნება. აქაც ერთგვარი გაუგებრობაა; განა უბრალო ქართველს, რომელიც არავითარ სოციალისტურ პარტიას არ ეკუთნის, არ შეუძლია თამარის იუბილეს თანაუგრძნოს? ჩვენ გვგონია ბ. Yoldemar-იც დაგვეთანხმება, რომ ასეთი ქართველი უფრო მიემხრობა ასეთ მოვლენას. მაშ რა უნდა უწოდოთ ს.-ფედერალისტთა ორგანიზაციის იმ წრეს, სადაც თამარის იუბილეს მომხრე უმრავლესობაა? ამგვარი საქციელი ორნაირათ აიხსნება: ან პროვოკაციით, ან კიდევ ტერმინების სრულიად დაუფიქრებლათ ხმარებით; პირველს მე თქვენ ვერ მოგაწერთ, ხოლო მეორეს კი თავისუფლათ.

თქვენი ისტორიული ფაქტი, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებიდან სრულიად ვერ ამტკიცებს თქვენ მიერ ნაზოძებ სახელწოდების საფუძვლიანობას. ანტიფედერალისტ პარტიაში შეიძლება თავი მოიყაროს ყველამ, ვინც წინააღმდეგია ფედერალიზმის, მაგრამ ს.-ფედერალისტურ პარტიაში კი არ შეუძლია თავი მოიყაროს ყველამ, „ვისაც აშინებს წითელი საფრთხე დასჯელებისა". ხოლო თუ ასეთი შეერთება მოხდება, მაშინ არ შეიძლება ამ შეერთებულ წრეს უწოდოთ ს.-ფ., ან ნაციონალისტთა, ან კიდევ სხვა ამდაგვარი ორგანიზაციის სახელი, შეგეძლოთ გეთქვათ, რომ ამ წრეში არიან შეერთებული ერთი ინტერესით, რომელიც ეწინააღმდეგება ს.-დემოკრატიულ პრინციპს, მაგრამ არ მოგენათლათ ს.-ფედერალისტთა სახელით. განა მარტო ს.-ფ. არიან დასჯელების წინააღმდეგ?! ვინც სხვის ულოღიკობას გაიძახის წამდაუწუმ, თვითონ უნდა ესმოდეს, მე მგონია, ასეთი უბრალო ჭეშმარიტება. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვთაკილობთ ასეთ სახელწოდებას, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ ის, რაც არის; წრე როგორც ორგანიზაცია სრულიად ნეიტრალურია.

ჩვენი წრე მეტათ უკულტურო რამეს წარმოადგენს ბ. Yoldemar-ის აზრით. ვინ იცის, ვის არ გვადარებს. დამშვიდდით ბ. Yoldemar! გადავხედოთ მოკლეთ წრის საქციელს. შეიძლება თქვენზე უკულტურო ის არ აღმოჩნდეს. როდესაც თამარის იუბილეს მოწყობა გადაწყდა წრის მორიგ კრებაზე ბ. Voldemar-მა და მისმა თანამოაზრეებმა დემონსტრატიულათ დატოვეს კრება და წავიდენ. რას ნიშნავდა ასეთი საქციელი?! რით დაიმსახურა წრემ ასეთი შეურაცხყოფა?!

განა მარტო წრეს ლანძღავს ჩვენი „პუბლიცისტი"? მისი „კრიტიკის" „ბასრს კბილებს" ვერ აცდენ ისინიც კი, ვისაც არავითარი კავშირი არ აქვთ წრესთან, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის, დე, მათ უპასუხონ. ჩვენ გვაშფოთებს მხოლოდ წრის თავჯდომარის პ. ალ. ჯავახიშვილის მეტათ უდიერათ და უზრდელათ ხსენება. თავის მჭერმეტყველობის საუკეთესო ნიმუშს ბ-ნი Voldemar-ი აფეროვნებს მამამდის სიტყვებით: „როდესაც ღმერთი რომელიმე ჯოგის დასჯას განიზრახავს, მაშინ იგი მას მწყემსათ ბრმა ცხვარს გამოუგზავნისო". ჩვენ კი უფრო მარტივათ ვიტყოდით: როდესაც ღმერთმა ჩვენი წრის დასჯა მოინდომა, თქვენი თავი მოგვევლინა წევრათ.

**ანასტასიაშვილი.**

# დღიური.

— ტოკიოში იაპონიის დღევანდელი კაბინეტის წინააღმდეგ მიტინგები იმართება.

— 30 იანვრისათვის ვ. ნეზილოვს ბელგოროდში ელიან.

— სერბიასა და ბულგარეთს შორის დიპლომატიური მიწერ-მოწერა დღემდი სერბიულსა და ბულგარულ ენაზე წარმოებდა, აწ კი ფრანგულ ენაზე იწარმოებს.

— გალიციის [illegible] ტეტმა გადაწყვიტა [illegible] საბჭოს რუსთა [illegible] მიღებისათვის [illegible].

— ხმებია კოკოვცოვის სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

— სრულიად რუსეთის აქარ-მრეწველთა წარმომადგენლების კრება აპრილის რიცხვებში მოხდება.

— შვეციაში შეიარაღების სასარგებლოთ გლეხთა დიდი მანიფესტაცია მოხდა.

# ახალი ამბავი.

სილ. ხუნდაძეს განუზრახავს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო წიგნაკების შედგენა (თითოეული ქართველი მწერლის შესახებ ცალცალკე); პირველი წიგნაკი (ნ. ბარათაშვილი) უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა.

✦ ამ დღეებში გუბერნატორს დაუბარებია ბ. დავ. მდივანი და უთქვამს: სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება საწევრო ფულის შემოუტანლობის გამო უნდა დავხუროო. დ. მდივანს უთხოვია გუბერნატორისთვის—ერთი კვირის ვადა მოგვეცით, რომ წევრებს დავავალოთ საწევრო ფულის შემოტანაო. ბ. გუბერნატორი დათანხმებულა, ხოლო თუ ამ ერთ კვირაში ეს საწევრო ფული არ შევიდა და წევრებს ასეთი გულცივობა დასჩემდათ, მაშინ დაიხურება ის საზოგადოება, რომელმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა ჩვენში.

✦ კნ. სოფიო მიქელაძისამ ჩვეულებრივათ გადასცა ქუთ. ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ ათი თუმანი, რისთვისაც პედაგოგიური საბჭო ამ სასწავლებლისა მადლობას უძღვნის პატივცემულ ქველმოქმედს.

✦ კოკოვცოვმა სათათბიროში ვრცელი კანონპროექტი შეიტანა კასპიის ოლქსა და კავკასიაში საზღვრების დაცვის გაძლიერების შესახებ. კანონპროექტს თან ახლავს განმარტება, სადაც აღნიშნულია ამ საზღვრის მნიშვნელობა და ისიც, თუ როგორ გადმოდიან სპარსელი ყაჩაღები და არბევენ რუსეთის ქვეშევრდომებს. 1907—12 წლამდი სპარსეთის საზღვარზე 36 მოუკლავთ და 49 მოხელე დაუჭრიათ. პროექტის ძალით ყოველწლიურათ ამ საქმეზე 849950 მანეთი უნდა გაღიდვას.

✦ კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოში მოისმინეს მოხსენება იმის შესახებ, რომ კავკასიაში საზეითალო პერსონალის შესანახი ხარჯი 309,677 მანეთი საერობო თანხიდან დაიხარჯოსო. მეფის მოადგილის საბჭოს ეს წინადადება შინაურ საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა გამოუგზავნა.

✦ პეტერბურგში საუწყებათაშორისო კრება იმის წინააღმდეგ წავიდა, რომ კავკასიაში მოუსავლობის გამო საკვები სურსათის გადატანაზე სალავათიანი ტარიფი დაწესებულიყო.

✦ კავკასიის რკინის გზის უფროსმა 23 იანვარს ამ გზაზე სადგურების უფროსებს მისწერა, რომ კონდუქტორებია საჭირო და წარმომიდგინეთ იმ დაბალ მოსამსახურეთა სია, ვისაც დაჭერილი აქვთ კონდუქტორობის ეგზამენიო.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სამართველომ მოსთხოვა ბათომის ქალაქის თვითმართველობას მეეზოვეთა წესდების ორი ეგზემპლიარი.

✦ თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოებამ გადასწყვიტა გამოსცენ რუსულ ენაზე სორმაბათო გაზეთი „კავკაზსკაია ჟიზნი".

✦ ქალაქ ირკუტსკში იქაურ ჟანდარმერიას დაუპატიმრებია თითქმის ყველა გადასახლებული ქართველი და ამ დაპატიმრებას კავშირი აქვს საერთო დაპატიმრებასთან, რომელსაც თფილისში ხდენენო.

✦ თფილისის წ. კ. საზოგადოებამ გ. დალაქიშვილს, გ. ოქროპირიძეს, შ. ქიქოძეს და მ. გომელაშვილს დაუნიშნა სტიპენდია.

✦ როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, ფინანსიურმა და საამშენებლო კომისიამ გადასწყვიტა ნ. ნიკოლაძეს მისცემოდა 2 პროცენტის მაგიერათ $1^1/_2$ პროცენტი. ამის გამო ნიკოლაძემ ქუთაისის ქალაქის მოურავს აცნობა: მე თქვენ სინიდისიერათ წარმოგიდგინეთ მინიმალური პირობები. თუ თანახმა არა ხართ, იმ შემთხვევაში ისინი გაბათილებულათ ჩათვალეთ. ქალაქის მოურავმა დეპეშითვე აცნობა კომისიების გადაწყვეტილება და სასურველია თქვენი ორშაბათისათვის ჩამოსვლაო.

✦ ქუთაისის მეპურეების თხოვნის შეუწყნარებლობის გამო ქალაქის საბჭოს მიერ პურის ნიხრის მომატების შესახებ მეპურეებმა გუბერნატორის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა, რათა მან წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს შეკრიბოს უახლოეს დროში ცნობები პურის ფქვილის ფასის შესახებ და იმის მიხედვით განიხილონ საკითხი პურზე ნიხრის მომატების შესახებ.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ბაზარზე ფუთი სიმიდის ფქვილი 1 მანეთად იყიდება, ლობიო 9 აბაზათ.

✦ როგორც გადმოგვცეს ბაქოში გამართულ ქართული საღამოს შემოსავალი ათიათას მანეთამდი ყოფილა.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭო 28 იანვარს ჭიათურაში გაემგზავრა მორიგი სხდომებისთვის.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭო მეხერის ჩამოსაშვებზე საფეხშლო სადგურს ხსნის.

✦ სათავადო მთავრობას გადაუწყვეტია ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილება გახსნას კურსებსა და გელათში და ფუშტისა სოფ. მაღლაკში.

ქუთაისში არსებულმა სახალხო წარმოდგენების მართველმა წრემ ყიფიანს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ქართული სცენის ერთ დამაარსებელთაგანს, და სამშობლო სცენის ბურჯს კოტეს ვუძღვნით სალამს და ვულოცავთ 45 წლის მოღვაწეობის იუბილეს.

## ბ. ვასილ წერეთლისადმი.

ჟურნალი „კლდის" მე-4 №-ში დაბეჭდილია თქვენი წერილი რედაქციის მიმართ, სადაც გულის წყრომას მიცხადებთ მე თ. დ. ო. ნიჟარაძის მიერ მოწვეული თათბირის ანგარიშის შემდგენელს (გაზეთ „ერისთვის"), თქვენთვის ისეთი სიტყვების მოწერისათვის, რაც არც გითქვამთ და არც არასოდეს გქონიათ გულში. ბრალსა მდებთ, თითქოს მე დამეწეროს, რომ თქვენ მთავრობის ტიპის ბანკის დაარსების საჭიროებას აღიარებთ. ვისწრაფი გაუწყოთ, რომ თქვენი გულის წყრომა სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული, ვიღაცას დიდ შეცდომაში შეუყვანიხართ. მე არსად არ მომიწერია თქვენთვის ზემო აღნიშნული სიტყვების წარმოთქმა, ამაში თვით დარწმუნდებოდით, რომ გარჯილიყავით და თათბირის ანგარიში წაგეკითხათ. როგორც ხედავთ, ჩემდამი მომართული გულის წყრომა, მეტი რომ არა ვსთქვა, უსაფუძლოა. რაც შეეხება თქვენს თხოვნას, განვმარტო, რის თქმა მინდოდა, ვწუხვარ, რომ არ შემიძლია დაკმაყოფილო, თუნდაც იმიტომ, რომ მე არაფრის თქმა არ მინდოდა და არც მითქვამს, მე მხოლოდ მშრალად აღვნიშნე (შეძლების გვარათ)—ის, რასაც სხვები ამ თათბირზე ამბობდენ.

„ერის" კორესპონდენტი.

28 იანვარი.

# მცირე შენიშვნა.

„სიმართლის ხმის" პუბლიცისტებს წინათაც არ ქონდათ ზნეობის ეთიკა და ახლა მთლიათ დაკარგეს. სწერენ ჭორებს, სწევენ აშკარა დემაგოგიას და ყოველივე ამას ისეთი რიხით სჩადიან, რომ არა რცხვენიათ. გელოვან-გეგეჭკორის სამედიატორო სასამართლოს განაჩენი თავუკულმა გადაატრიალეს. ტერიტორიის საკითხის შესახებაც მსჯელობენ ბავშურათ და საკითხს ამახარავებენ:

გუშინწინდელ ნუმერში მოთავსებული

ქვრივი სალომე პავლეს ასული გეგიძისა, მარიამ დავითის ასული კორძაიასი, ევგენია დავითის ასული ნიჟარაძისა, ოლგა დავითის ასული ნიკოლაძისა, ეკატერინე დავითის ასული ფურცელაძისა და ნიკოლოზ გრიგოლის ძე გრეკოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გადაცვალებას: პირველი დაუვიწყარი მეუღლისა და დანარჩენნი ძვირფასი ბიძისა,

**ივანე იაკობის ძის გეგიძისას.**

გამოსვენება იქნება ქუთაისის სადგურიდან 30 იანვარს დილის 9 საათ. და დასაფლავება სათიჩხიის სასაფლაოზე.

წერილი ბ. არიძის საუკეთესო ნიმუშია ულოღიკობისა და უვიცობისა, ეტყობა არიძეს იმ საკითხის ინჩიც კი არ ესმის, მარა გაკადნიერებულა და სწერს. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნუმერში დალი სწერდა: მთელი ჩვენი ქონებრივი და გონებრივი ძალა უნდა ავამუშავოთ იმისთვის, რომ მიწა ადგილობრივი მკვიდრის ხელში დარჩესო. არიძე ამ აზრს არ დაუკმაყოფილებია, გაუწიწმატებია და, ვინ იცის, რაებს არ ჩმახავს. თქვენი გონებრივი ძალა გლეხებისათვის რჩევის მიცემაში გამოისახებაო. განა, რითი უნდა გამოისახოს მაშ? დიახ, ვურჩევთ, ვეტყვით, და ვარწმუნებთ. და დარწმუნებული იყავით, რომ ცოტათი მაინც მით რასმე გავხდებით.

ბ. არიძეს ბ. ასათიანის აზრი არ მოსწონებია, რომელიც ამბობდა: ყოველმა ფიზიკურათა და გონებრივათ მომუშავე ქართველმა უნდა გადასდვას თავისი ნაშრომის ნაწილი ქართლ-კახეთში მიწის შესაძენათო. არიძეს ვერ წარმოუდგენია, რომ ამ საქმისთვის გამოდგება ღვდელიც, ვაჭარიც, და თავადიც. მისი გონება შორს ვერ იხედება და ალბათ მისი აზრის ასეთი სიღარიბეც იმის ბრალია. გეკითხებით, სად შეუნარჩუნებია ტერიტორია დ მონებულ ერს ხსენებულ ელემენტთა დაუხმარებლათ? რისთვის გავიწყდებათ პრუსიის პოლონეთის ისტორია. განა იქ ტერიტორიის საკითხში თავადი, ვაჭარი, ღვდელი, მუშა და გლეხი არ გაერთიანდენ? და რაც სხვაგან მოხდა, რისთვისაა შეუძლებელი ჩვენშიც იგივე მოხდეს?

ტერიტორიის საკითხში პოზიციას გვიწუნებს ბ-ნი არიძე, მაგრამ თვით ამ საკითხში რა პოზიცია უჭირავთ? არიძე სწერს, ვითომ გლეხები მიწის შეძენას ქალაქის მუშებთან ერთ დროშას ქვეშ შემოკრებით შეიძლებს. ნუთუ ესაა მათი პოზიცია. როგორ შეიძლება ქალაქის მუშების დროშას ქვეშ შეკრებით გლეხმა მიწა შეიძინოს. სად მომხდარა ეს, ან რა საშვალებით მოხდება ეს ჩვენში—მოიღეთ მოწყალება და აგვიხსენით. **აქ—სი.**

## მეტი ყურადღება!!

ბევრი დაწერილა გაზეთებში სამრევლო შკოლების შესახებ და ამ შკოლების მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობაზე, ბევრჯერ უკარნახებიათ სასულიერო მთავრობისთვის ამ მოვლენას ჯეროვან ყურადღების მიქცევა, მაგრამ კედელს ცერცვი... სამწუხაროა, რომ ის დაწესებულება, რომელიც სამრევლო შკოლებს სათავეში უდგის სიტყვით თითქოს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მოვალეობის განმტკიცებელი იყოს, მაგრამ საქმით სულ სხვას ვხედავთ. გადახედეთ სამრევლო შკოლების მდგომარეობას, გაიცნეთ მათი არსებობის ახლანდელი ვითარება და დაინახავთ, რა უნუგეშოცაა მდგომარეობა. თითქმის არცერთ შკოლას ამ უწყებისას ხეირიანი შენობა არ აქვს: ზამთრობით საცოდავი ბავშები სიცივით კანკალობენ, მასწავლებელიც აყვანილია სიცივისაგან, მაგრამ ძალა უნებურათ ვალდებულია ასეთ მდგომარეობაში ასრულოს მოვალეობა, ეშინია „მრავალთა პაპათა თვისთა მიერ", ის მცირე ჯამაგირიც არ წაერთვას და სხვის კარზე შიმშილით ფეხი არ გაჭიმოს. განსაკუთრებით იკითხოს ისეთმა მასწავლებელმა, რომელსაც თორმეტიდან თვრამეტ თუმნამდი ჯამაგირი აქვს და ოჯახზეც მოშორებით ცხოვრობს. განა ეს ჯამაგირია, შრომის დაფასებაა? გადახედეთ, გულმოწყალე მამებო, სამინისტრო შკოლების მდგომარეობას, თქვენ წინ წარმოგიდგებათ შედარებით კარგი შენობა, კარგათ მოწყობილი, მასწავლებლების ოთხი, რიგიანი სადგომი. საცოდავი თქვენი მასწავლებელი იძულებულია სადმე კერძო ოჯახს შეეფეროს, თუ თავი მოძულებული არ აქვს. და ამას ხო ზედმეტი ხარჯი მოსდევს და რით უნდა გაუძლოს. მასწავლებელიც მუდამ დაღვრემილია, მაგრამ მის წყლულს არსაიდან მალამო... დიახ, სწორეთ უმოქმედობამ და უზრუნველობამ დასცა სამრევლო შკოლების პრესტიჟი ხალხის თვალში, მოსპობის გზაზე დააყენა. სასულიერო მთავრობა გულზე ხელდაკრეფილი ცივათ შესცქერის ამ მოვლენას და ვერ გრძნობს, რომ სამრევლო შკოლების მოსპობასთან მათაც ფასი აკლდებათ ხალხის თვალში. დღეს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებაა. ნუთუ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას არ მიაპყრობენ ჩვენი სულიერი მამები და ყოველ ღონეს არ მოიკრებენ, რომ სამრევლო შკოლების მდგომარეობა ძირითად შეიცვალოს... ეს იქნებოდა უდიდესი დანაშაული..

**დიონისანი.**

## ქართველი ღვდლებისა საყურადღებოთ.

ყოველი შეგნებული ქართველისთვის საიდუმლოებას აღარ შეადგენ ის გარემოება, რომ რუსეთის სასულიერო მთავრობას სიტყვა „ქართველი" და ქართული ეკლესიის ხსენება დიდათ არ მოსწონს. თუ დღემდის ამ სასულიერო მთავრობას სავსებით აშკარათ ვერ უთქვამთავისი გულის ნადები, ამას უნდა ვუმადლოდეთ რუსეთის სხვადასხვა დროს პოლიტიკურ მდგომარეობას და მის შინაურს დაუწყობელ საქმეებს. გულით სურთ რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს ეს გადაგვარება, მაგრამ, რაკი ბუნების წინააღმდეგ წასვლა ძნელია, ამის გამო ჩვენი გადაგვარების თანდათანობის გზას ადგიან.. შკოლებში გამეფებულ რეჟიმს, რომ თავი დავანებოთ და პირდაპირ ეკლესიის საქმეებს მივმართოთ, ბევრს მაგალითსა და განკარგულებას დავინახავთ იმისას, რომ რუსის სასულიერო ბიუროკრატია ჩვენი ეკლესიის აყვავებისათვის ღირსეულათ არ ზრუნავს. ქართველმა ღვდელმა კარგათ იცის, რომ ამ ათი-თუ თხუთმეტი წლის წინათ უბძანეს მას საეკლესიო საბუთები რუსულ ენაზე აწარმოვეო. ქართველი ღვდლების უმრავლესობა ამ განკარგულებას გულგრილათ შეხვდა და პროტესტის ნაცვლათ იმისთანა ღვდლემაც კი გამოიწერის რუსული საეკლესიო საბუთები, რომელთაც სასულიერო სასწავლებლებიც არ აქვთ დასრულებული. შემდეგ იმავე ქართველ სამღვდელოებას უბძანეს ქართველ ბავშებს ქართული მამა-პაპური ისტორიული სახელები არ დაარქვათო. თუმცა ამ განკარგულებასაც გულგრილათ შეხვდა სამღვდელოება სიტყვიერათ, მაგრამ ბევრმა ღვდელმა ძველ გზას საქმით თავი ვერ დაანება და მამა-პაპური სახელების დარქმევას ხელი შეუწყო. სასულიერო მთავრობამ, რომ ვერაფერი გააწყო ამ „ჯიუტ" მამებთან ახლა ეს ხერხი მოიგონა:

„როდესაც სახელი დაარქვათ უსათუოთ იქვე საბუთებში აღნიშნეთ ესა და ამ სახელს როდის დღესასწაულობს და უქმობს მართლმადიდებელი ეკლესიაო. იმათ იციან, რომ „მირიანი", „შოთა", „ამირანი", „ოთარ", „ვახუშტი", „ვახტანგ" და სხვა ამგვარი ქართული კარგი სახელები რუსული კალენდრების ფურცლებს მოკლებული არიან და, რასაკვირველია, ამის მეოხებით გზას გვისპობენ და ჩვენ მომავალ თაობას უკარგვენ საუკუნოთ ისტორიულ სახელებს. ნათქვამია: ჯოჯოხეთს ერთი ნიგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო; ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ სულ ახალი განკარგულებით ქართველ ღვდლებს ხელწერილი უნდა ჩამოართვან, რომ მან ქართული საეკლესიო ბეჭდები უსათუოთ გააუქმონ და მიიპოონ ახალი რუსული ასოებით ამოჭრილი ბეჭდები. უკანონო განკარგულებას მონური ქედის მოხრა არ უნდა. გონივრული და აზრიანი ბრძოლით უნდა შეხვდეს ჭკუათა მყოფელი ადამიანი. ქართველი სამღვდელოება თუ ფხას გამოიჩენს ეროვნული თვითმოყვარეობა ასე ადვილათ დასაწიხლავი და გასაქარწყლებელი არ შეიქნება. იგი თავისი ეკლესიის ავტოკეფალობას თხოულობს იმ სასულიერო ბიუროკრატებისაგან, რომელნიც მას ენასაც ართმევს, სახელსაც, საბუთებსაც და ბეჭდებსაც უსპობს. ყველა თავის მოთხოვნას სხვა კანონიერი გზა უნდა გამოუძებნოს ქართველმა სამღვდელოებამ, თუ უნდა თავისი ეკლესიის აყვავება, თვარა ახალს კი არაფერს მისცემს მას რუსის სასულიერო მთავრობა, იმასაც წაართმევს, თუ რამ შერჩენია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამღვდელოება ახლანდელ თავის კრებაზე ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს განსაკუთრებით იმ კითხვებს, რაც ჩვენი ეკლესიის აყვავებასა და შენარჩუნებას ხელს უწყობს.

**მახეჟდი.**

## საღვთო სჯული და ჩვენი შკოლები.

ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა პედაგოგიურ კითხვებზე სჯა-ბაასი.

ყველა ხმამაღლა ლაპარაკობს დღევანდელი შკოლების მოუწყობლობას, სწავლა-აღზრდის დაქვეითებას. მართლაც, დროა პედაგოგია ემსახურებოდეს პირნათლათ თავის მიზანს. ვინ არ ხედავს ჩვენი შკოლების მოუწყობლობას! ბავშის სულიერ მოთხოვნილებებს შკოლა ვერ აკმაყოფილებს, ბავშის სულიერი ძალები ვერ პოულობს საკმაოთ სავარჯიშო მასალებს, არ ეყრება მკვიდრი საფუძველი ნორჩი გონების განვითარებას, ქართული შკოლა გადაგვარების იარაღათ გამხდარა. დედა-ენა, საუკეთესო საშვალება ბავშის გონების გახსნა-განვითარებისა, აბუჩათ არის აგდებული.

დროა, მასწავლებლებო გამოფხიზლდეთ, ხელი ხელს მივსცეთ და საერთო ძალით ახალი შკოლის შესაფერი ნიადაგი შევქმნათ. „დედა-ენის დაცვა და მისი ჩვენს შკოლებში განმტკიცება"—აი, რა უნდა შეადგენდეს ჩვენს მიზანს.

სირცხვილია, რომ ის მინიმუმი—81 წლის პროგრამა ფეხქვეშ გათელილი გვაქვს?! სამშობლო ენის უპატივცემლობა და გადაგვარების პოლიტიკის ხელის შეწყობა განა მომაკვდინებელ ცოდვათ არ ჩაგვეთვლება?!

ბავშის სული ანკარა წყაროა, უნდა ვერიდოთ სათავეში წყლის ამღვრევას.

გადავავლოთ თვალი ახლანდელ პირობებში როგორ სწარმოებს საღვთო სჯულის სწავლება!

ვინც ცოტათი მაინც დაკვირვებია ხსენებული საგნის სწავლებასა და მის შედეგებს, დამეთანხმება, რომ ამ საგნის გადაცემა იმგვარათ, როგორც ახლა არის, უდიდესი ზიანის მეტს არაფერს იძლევა. ჩვენი „სულიერი მამები" იმით უფრო არიან დაინტერესებული, რომ როგორმე ადრე დაიწყონ რუსულ ენაზე საღვთო სჯულის სწავლება. მაგრამ იმას სრულებით ანგარიშს არ უწევენ, რაგვარათ ხრწნიან, ალაყებენ ბავშის ტვინს. 1881 წლის პროგრამაში ნათლათ არის ნათქვამი: პირველს სამ განყოფილებაში სწავლება საღვთო სჯულისა სწარმოებს განსაკუთრებით დედა-ენაზე, მე-4-სა და მე-5 განყ. კი რუსულ ენაზეც. ბავშები რუსულათ სწავლობენ მხოლოდ იმ ცნობებს, რაც დედა-ენაზე კარგათ შეთვისებული აქვთ. ახლა კი რუსულ ენაზე მე-2 განყოფილებიდან იწყებენ.

ბავში მე-2, გინდ მე-3 განყ. ძლივს ახერხებს ორი უცხო სიტყვის ერთმანეთზე გადაბმას და ამ დროს რუსულ ენაზე საღვთო ისტორიისა და ლოცვების სწავლება განა ტანჯვა არ არის მისთვის?

გული გიკვდება, როდესაც ხედავ, როგორ ემზადება ბავში სალაპარაკოთ, უნდა რაღაც სთქვას, ვერ ახერხებს! უშინაარსო ზეპირობა განა ბავშის ტვინს არ ალაყებს?!

კითხეთ იმავ ბავშს, რა აზრით, ხმარობს ამა თუ იმ სიტყვას, ამა თუ იმ წინადადებას, რა გიპასუხოს.

ეს არის უმანკო ბავშების გამოფიტვა, ეს არის ნორჩი გონების მოწამვლა!

ეს ისეთი დანაშაულობაა, რაც არაფრით არ გამოისყიდება! **მრ—გია.**

## რუსეთის ეკლესია 1913 წელში.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ორგანოს „ცერკ. ვესტნ."-ის პირველ ნუმერში მოთავსებულია ერთი პროფესორის წერილი რუსეთის ეკლესიის მდგომარეობის შესახებ 1913 წლის განმავლობაში. ავტორი თავის წერილში ასურათებს ამ ეკლესიის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს და ამბობს, რომ წარსულ წელს მაისში მოსკოვში გაიმართა დღესასწაული რუსეთის პატრიარქის გერმოგენის წმ. ნაწილების გახსნის გამო. ამ დღესასწაულმა ერთმანეთს დაუპირდაპირა რუსეთის ეკლესიის ძველი და ახალი მდგომარეობა და ყველა ნათლათ დაგვანახა, თუ რა მოუწყობელია ეკლესიის საქმეები. ასეთი შეგნება გააზვიადა იმ გარემოებამაც, რომ ამ დღესასწაულზე მოსკოვში დაესწრო ანტიოქიის პატრიარქი გრიგორი მეოთხე, ანტიოქიის პატრიარქიამ ბევრი საუკუნის განმავლობაში შეინახა და ახლაც ინახავს შეუცვლელათ კანონიური ეკლესიის წესწყობილებას, მიუხედავათ იმისა, რომ იმყოფება მაჰმადიანთა მართველობაში. სამწუხაროა, რომ მოსკოვმა, რომელიც მწიგნობართაგან წოდებული „მესამე რომათ" და მთელმა რუსეთმა, რომელმაც მართლმადიდებლობა ბიზანტიიდან მიიღო, დაკარგა ის, რაც შეინარჩუნეს ბიზანტიამ, ანტიოქიამ, ალექსანდრიამ და იერუსალიმმა. ვოლინის არქიეპისკოპოზმა ანტონიმ თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ანტიოქიის პატრიარქის მიგებების დროს, რუსეთის ეკლესიის ცუდი მდგომარეობა დაადასტურა. ავტორის აზრით, აქ არქიეპისკოპოზი ანტონი იგულისხმებდა ამ ეკლესიის წესწყობილების უკანონობას და ვისაც კიდევ არ დაკარგვია სიყვარული რუსეთის ეკლესიისადმი, ვალდებულია შეუწყოს ხელი, რომ ამ ეკლესიაში კანონიური წესწყობილება დამყარდესო.

შემდეგ ავტორი ეხება რუსი ბერების მოძრაობას ათონის მთაზე და ამ მოვლენას სამწუხაროთ სთვლის. ამ ბერების მოძღვრება სინოდმა დაგმო და იგი ათონის მთიდან გარეკა; ამან გამოიწვია უკმაყოფილება უმაღლეს წრეებში და გავრცელდა ხმები, ათონის საქმე ახლათ განიხილებაო. სასურველია, ამ საქმის განხილვა რუსეთის ადგილობრივს საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იკრიბება. რუსი ბერების ახალმა სწავლამ ათონის მთაზე მოკლე ხანში დალია სული და არა ხანგრძლივი უბედურება მიაყენა ეკლესიას, მაგრამ უკანასკნელს დიდ საფრთხეში აგდებს მწვალებლობის გავრცელება, რაც უნდა ჩაითვალოს იმის შედეგათ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მისიის საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული.

წასული წლის 14 სეკტემბერს, სინოდის განკარგულებით, მთელ რუსეთში გაიმართა დღესასწაული მილანის ედიკტის გამოცემიდან 1600 წლის შესრულების გამო. ამ დღესასწაულს მხიარულათ არ ჩაუვლია, რაც, სხვათაშორის, უნდა მიეწეროს იმას, რომ მეცნიერნი კიდევ ვერ შეთანხმებულან მილანის ედიკტის მნიშვნელობის საკითხში. ამ დღესასწაულის დროს სხვად სხვა პერიოდულ გამოცემაში დაისტამბა ბევრი წერილი, სადაც ეხებოდენ ეკლესიის დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან. ეს წერილები მით უფრო იქცევს მკითხველების ყურადღებას, რომ ამ დროს გამწვავდა დამოკიდებულება მართლმადიდებელ უწყებასა და სათათბიროს შორის. ყველასათვის ცხადია, რომ სახელ. სათათბირო დემონსტრატიულად აბრუნებდა უკან ეკლესიის კანონპროეკტებს. ძალიან გასჭირდა რაიმე კანონპროეკტის გაყვანა, თუმცა დიდათ საჭირო იყო და თხოულობდა სულ ცოტა ხარჯებს. გამონაკლის შეადგენს მხოლოდ ერთი კანონპროეკტი—სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების მასწავლებელთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ.

შემდეგ ავტორი ეხება ეკლესიის კავშირს სახელმწიფოსთან და ამბობს: რადგანაც ეკლესია სარეფორმო საქმეებისთვის ღებულობდა მატერიალურ დახმარებას სახელმწიფოდან, უკანასკნელმა ისარგებლა ამით და ჩაერია მის შინაურ ცხოვრებაში: სათათბიროს წევრნი, გაურჩევლათ სარწმუნოებისა, გახდენ ეკლესიის მსაჯულებათ. ამ გარემოებამ აიძულა საეკლესიო მთავრობა მოეთხოვა 65 მუხლის განმარტება, მაგრამ ჯერ ეს საქმე კიდევ არ დასრულებულა.

კეთილ განწყობილებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დიდ ზიანს აძლევს სამრევლო რეფორმის პროეკტის საქმე. ეს პროეკტი სინოდში ჯერ კიდევ მზადდება. სათათბირომ წამოაყენა ერთი ასეთი პროეკტი, მაგრამ ის სინოდის ობერპროკურორმა არ შეიწყნარა. უნდა ველოდეთ, როცა ობერპროკურორი ამ პროეკტს შეიტანს, სათათბირო მას არ მიიღებს და სამრევლო რეფორმის საქმე გაჭიანურდება.

სათათბიროში აღიძრა საკითხი სამღვდელოებისთვის ხაზინიდან ჯამაგირების მომატების შესახებ, მაგრამ ეს კითხვა უარყვეს. ხოლო, რაც შეეხება მათთვის პენსიას, შეიძლება დაადგინდეს. აქ ავტორი აქებს რუსეთის სამღვდელოებას, მიაწერს მას დიდ ღვაწლს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ბედის გასაუმჯობესებლათ იმპერიის სამღვდელოება უნდა შეკავშირდეს.

შემდეგ ავტორი ეხება სასულიერო შკოლების რეფორმას და აღნიშნავს, რომ სასულიერო შკოლების მასწავლებელთათვის ჯამაგირების მომატების პროეკტი არ შეხებია საქალო ეპარქიალური სასწავლებლების მასწავლებლებს, რომლებიც ძველებურათ დავიწყებული არიან. მაგრამ, იმედია, რომ მათი ბედიც გაუმჯობესდება, როცა მიიღება პროეკტი საერო საქალო შკოლების შესახებ.

ბოლოს ავტორი აწერს [illegible] აკადემიების მატერიალურათ [illegible] მდგომარეობას და დასძენს, რომ ახლანდელი ეკლესი[illegible] შეიცვლება კარგათ, როცა [illegible] ადგილობრივ[illegible] აღდგინდება კანონიური წესწყობილება.

## რ უ ს ე თ ი.

**სახალხო უნივერსიტეტი** პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტის ერთერთ უკანასკნელ სხდომაზე მუშათა პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს უნივერსიტეტის საქმეებში მონაწილეობის მიღებაზე. „ნოვაია რაბიჩაია გაზეთის" ცნობით, მონაწილეობის მიღებაზე უარი იმიტომ სთქვეს, რომ სახალხო უნივერსიტეტი ბურჟუაზიული დაწესებულებაა. ხსენებული გაზეთი მუშათა ამ გამოსვლას არ იწონებს. ამგვარ გამოსვლას, რომ ცუდი პრაკტიკული შედეგი მოყვება, ეს ცხადია. მუშებმა თავის ხელითვე გაზზარეს ის იარაღი, რომელ იარაღსაც შეეძლო პეტერბურგის ფართო მასაში თვითგანვითარება შეეტანა.

**როძიანკო.** სათათბიროს კულუარებში ხმა გავრცელდა იმის შესახებ, რომ როძიანკო ამ მოკლე ხანში სათათბიროს თავჯდომარეობას თავს დაანებებს. შინგარევთან საუბრის დროს როძიანკომ ამ ხმის სიმართლე დაამოწმა და თანაც დასძინა: სათათბიროს თავჯდომარეობის ადგილს ვსტოვებ იმიტომ, რომ ოკტომბრისტთა ერთი ნაწილის ჯგუფის სათავეში ჩავუდგე და ვიმუშავებ მემარჯვენე ცენტრის უმრავლესობის შესაქმნელათო.

**თვითმკვლელობა** პეტერბურგში დენისოვის შვილმა სტუდენტმა თავი მოიკლა და დასტოვა დედის საქციელის გამომჟღავნებელი წერილი, რომელსაც ის შეესწრო „რანდევუ" რესტორანში სახალხო განათლების სამინისტროს ერთერთ გამოჩენილ მოხელესთან და სადაც თხოულობს დედა მამას გაშორდეს. გამოირკვა, რომ დენისოვის ორივე შვილს პირობა დეუდვიათ თავი მოეკლათ.

## უ ც ხ ო ე თ ი.

**შვეცია.** სტოკჰოლმში შეიარაღების გაძლიერების მომხრე მქადაგებლებმა დიდი პატრიოტული მანიფესტაცია მოაწყვეს. მანიფესტაციის დღეს შვეციის ყოველი კუთხიდან სტოკჰოლმს 30 ათასი გლეხი ჩავიდა. გლეხების ჩამოსვლის მიზანი იყო დაენახვებიათ მთავრობისათვის, რომ ისინი შეიარაღების გაძლიერების საქმეში მზათ არიან თვისი წვლილი შეიტანონ. ყველა ეკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს, რას შემდეგ ხალხი დროებით მეფის სასახლისაკენ წავიდა. მეფემ მიიღო გლეხთა რწმუნებულები, რომელთაც აღნიშნეს დემონსტრაციის მნიშვნელობა და გადაუშალეს მეფეს თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობები. დელეგატებმა ისიც უთხრეს მეფეს, თუ რამდენათ ძლიერია მათში სამშობლოსადმი სიყვარული. შეიარაღების გაძლიერებას რა სხვერპლიც კი დაჭირდება, გლეხები არ შედგებიან. მეფემ გლეხებს მადლობა გადაუხადა და სთქვა: მე სრულიად ვეთანხმები თქვენ მიერ გამოთქმულ აზრს შეიარაღების შესახებ და მიუხედავათ იმისა, რომ ხალხში ამ საგანზე სხვანაირი შეხედულებაც არის, არავის არაფერს დავუთმობ და ფლოტს უეჭველათ გავაძლიერებო. მეფის სიტყვამ მანიფესტანტებში დიდი აღტაცება გამოიწვია. გლეხებს სხვა მცხოვრებლებიც გამოეხმაურენ, მანიფესტანტებს ქალაქი დიდი ამბით გაუმასპინძლდა. მეფემ 15 ათასი მილოცვის დეპეში მიიღო, რომელსაც ხელს აწერდა 60 ათასი კაცი. სოციალისტები და ზოგიერთი რადიკალი აწყობენ მიტინგს და ფლოტის გაძლიერებასა და სამხედრო ბეგრის დროის გადიდების გამო პროტესტს აცხადებენ.

**პრუსია.** იანვრის პირველ რიცხვებში ბერლინის ქალაქის საბჭოს სხდომა ქონდა, სადაც უმუშევრებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ იმსჯელეს. შემოტანილი იყო სოც.-დემოკრატ ხმოსნებისაგან წინადადება უმუშევრების სასარგებლოთ ნახევარი მილიონის მარკის გადიდების შესახებ. საბჭოს სხდომამ ეს წინადადება უარყვეს, მაგრამ დაადგინეს დაურიგონ უმუშევრებს სესხათ 300 ათასი მარკა, მხოლოდ სარგებლის გადაუხდელათ, სესხს მიიღებს მეოჯახე მუშა, რომელსაც ერთი წელიწადი მაინც უცხოვრია ბერლინში.

სავაჭრო სახლი ი. ბოკიელის შვილების ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში რუსული კალენდრები საუკეთესო გამოცემა ოტტო კირხნერისა და სიტინის ამხანაგობისა. | ქართული კედლის და ჯიბის კალენდრები

ტყავის პორტფელები (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя). ✦ კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.

ბულგარეთში. მთავრობის ოფიციალურმა ორგანომ ბულგარეთის ცუდი მდგომარეობის გამო ყველა პარტიის შეერთებისაკენ მოუწოდა. მოწოდებამ უნაყოფოთ ჩაიარა და იმართება კრებები, სადაც პარტიათა ბრძოლა ძალიან გამწვავებულია. რადიკალების თაოსნობით გამართულ მიტინგს ურიცხვი ხალხი დაესწრო: ამ მიტინგზე ორატორები მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებდენ, საგარეო პოლიტიკაში თვითნებობის გამოჩენას აბრალებდენ მთავრობას და თხოულობდენ სულ მშვიდობიანობის დამყარებას. ორატორის ამ სიტყვას პროტესტი არ გამოუწვევია; პირიქით, ხალხი მას ტაშის ცემით ეგებებოდა.

## დაბა-სოფელი

**სოფ. ხვანჭკარა (რაჭა).** დაზამთრდება თუ არა, რაჭას თითქმის სვანეთის ბედი ეწვევა—ჩაიკეტება. როგორც ბევრს მოეხსენება ამ მხარეს, ერთი უმთავრესი გზა მისდევს ქ. ქუთაისიდან, რომელსაც ეწოდება ოსეთის სამხედრო გზა-ტკეცილი. დაზამთრებამდი ამ გზაზე ეტლი და ურმები მუშაობს, მაგრამ თუ ცოტათ ავი ზამთარი მოყვა, გზა იკეტება. არათუ ეს გზა, სოფლიდან სოფლამდი მიმოსვლაც შეწყვეტილია. ნაქერალის მთის გზაც გაუქმებულია ამ დროს, კავკავზე რო მიდის მამისონის მთით. საერთოდ ჩვენში კარგი მოსავლის წელიწადს მეხუთედს თუ მოუვა მთელი წლის საზდო, წელს კი გასული ზაფხულის დიდმა გვალვამ აქაური მუშა ხელი სოლ უიმედოთ დასტოვა. პირნახული არ მოსულა, გარეშე ქვეყნებიდან უგზოობის გამო ვერაფერი სურსათი შემოიტანეს და ხალხი დიდზე დიდს საგონებელშია ჩავარდნილი. სიმიდი დღეს გასაყიდიც არსად იშოვება. თუ სადმე აქა-იქ წვრილ-წვრილათ გამოჩნდება, ფუთი ორ მანეთამდი ფასობს.

საზოგადოთ ქვემო რაჭასა, და განსაკუთრებით კი ხვანჭკარის საზოგადოებას, ღვინის მოსავალი ძალიან ხელს უწყობდა ყოველი გაჭირვების დროს, წელს კი აქაური ვენახები თითქმის სულ გაფუჭდა, ნაყოფი ვაზებზევე შეახმა და გლეხები გულხელდაკრეფილი შესჩივიან ერთმანეთს უსაზდოობას.

ამ ხვანჭკარის საზოგადოებას გასულ ზაფხულზე დაუდგენია განაჩენი ერთკლასიანი სასწავლებლის ორკლასიანათ გადაკეთებაზე. ამი სთაობაზე არა ერთჯერ ულაპარაკია ადგილობრივ მასწავლებელს კრილობაზე და კერძოთ გლეხებთანაც, აუხსნია სწავლის მნიშვნელობა და მოწაფეების გამრავლება. დღეს, ამ შიმშილობის დროსაც ენერგიულათ ეგებებიან ორკლასიანი სასწავლებლისთვის ახალი შენობის აგებას. ორი-სამი წლის წინათ, თუ გლეხს სასწავლებელში ერთი შვილიც არ შეყავდა, დღეს რამდენიც უნდა ყავდეს, ყველა სასწავლებლის კარზე მიუყენებია, მაგრამ სად არის ადგილი? ბევრს აქაურ გლეხს შეხვდებით, რომ ერთად ამ სასწავლებლის სამეურნეო განყოფილების თხოვნასაც ლამობენ.

ნოემბერში მომხდარმა, მეღვინეთა და მევენახეთა კრებამ აქ ძალიან შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე, უხარიათ და ფიქრობენ: იქნება ვინმე გაგვიჩნდეს პატრონი და მოწყალეო, რო მომავალში ჩარჩების ხელში აღარ ჩავარდეს ჩვენი მთელი წლის ნაშრომი ღვინის მოსავალიო. ამავე კრებაზე საერთო აზრი გამოითქვა სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაზე რაჭა-ლეჩხუმისთვის. აირჩიეს კომისია, რომ იზრუნოს ამ სასწავლებლის დაარსებისთვის.

რაჭველი გლეხი.

## ღია ბარათი.

ბ. ბ. ვლადიმერ არეშიძეს, სეფე ლეჟავასა და ლევანტი ჭიპაშვილს.—

ერთმა თქვენგანმა, დადასტურებით რომელმა, არ ვიცი, ცილის წამებით და ინსინუაციებით სავსე წერილი დასწერა ჩემ შესახებ და ამ წერილს ვიღაც „ერთი წევრი" აწერს ხელს, რითაც მე საშვალება არ მაქვს წერილის ნამდვილი ავტორი ვიცნო, რომ მას ჯეროვანი პასუხი მოვსთხოვო. ამისათვის, თქვენ თუ მოქალაქობრივი გამბედაობა გაქვთ, ჭეშმარიტებას ემსახურებით და თვითონ არ ბძანდებით „დანოსჩიკები", წინადადებას გაძლევთ, გამოაცხადეთ ორი კვირის განმავლობაში, რომელი თქვენგანი არის ხსენებული წერილის ავტორი, და თუ თქვენ ამას არ ინებებთ დე, თვითონ საზოგადოებამ დასდვას მსჯავრი რა ჯურის დასელები ბძანდებით თქვენ და ვისთან მქონებია საქმე.—

დეკანოზი მიხეილ ბუაჩიძე.—

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, ვინც კეთილ ინებეს და ზედა-ილემის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს გამოუწერეს სხვადასხვა გაზეთი:

პეტრე მაჭავარიანმა—„სასოფლო გაზეთი", არტევან ალავიძემ—გაზეთი „ერი", პავლე საყვარელიძემ—„სახალხო გაზეთი" გიორგი, აბაშიძემ—„განათლება".

გამგეობის დავალებით მასწავლებელი ტიხ. ნიქაბაძე.

---

გაზეთი „ერი"-ს მე-5-ე №-ში, ამა წლის 8 იანვარს, მოთავსებული იყო ასეთი ცნობა: დარაჯების ყაჩაღებთან სროლის დროს მოკლეს ადგილობრივი ვაჭარი, რომელიც თავის სავაჭრო დუქანში მიდიოდაო.

ვაცნობებ გაზ. „ერი"-ს რედაქციას, რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, ასეთი შემთხვევა აქ არ ყოფილა; ყაჩაღებთან სროლის დროს დარაჯებმა ს. შროშაში მოკლეს ბიკტორ შველიძე, რომელიც დილით, 29 დეკემბერს, დანარჩენს ორ ყაჩაღთან ერთად მისულა ბასილა შველიძის სახლში და მოუთხოვიათ მისთვის ათასი მანეთის მიცემა. მოკლულ შველიძეს თან აღმოაჩნდა ვინტოვკა 41349 ნუმრის, 3 მაუზერის „ობოიმი" და 15 ცალ. ტყვია.

შორაპნის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი მანსვეტაშვილი.

## სია

ქ. შ. წ. კ. ს. ქ. გ. წევრებათ ჩაეწერა და ფულიც მიღებული აქვთ 1913 წ. შემდეგ პირთ:

1. ბაგრატ ჭავჭანიძე,
2. ილია მესხი,
3. დავით ექვთიმეს ძე ლორთქიფანიძე,
4. ილია ალექსის ძე წინამძღვარიშვილი,
5. მარგალიტა თებზაძის ასული,
6. ბართლომე ბიბინეიშვილი,
7. ვარლამ ხარაბაძე,
8. დავით კვირკელია,
9. გიორგი იოსელიანი,
10. თავ. ნიკ. ფალავა,
11. ნოე კორძაია,
12. ოლღა ლეკვიაშვილისა,
13. თათუშა ჩხეიძის ასული,
14. თავ. იასონ ნიჟარაძე,
15. პლატონ ქორდავა,
16. სიმონ ჟორჟოლაძე,
17. თავ. ბესარიონ გელოვანი,
18. დავით სიმონის ძე კლდიაშვილი,
19. გიორგი ებრალიძე,
20. ალექსანდრე ჩხეიძე.

განყოფილების მდივანი ბართლომე მესუშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება"

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის. (წელიწადი მეშვიდე).

1914 წელში ჟურნალი „განათლება" ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**

ხელისმოწერა მიიღება **ტფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში", ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნუმრებიც, თითო 2 აბაზათ.

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიბარონ ჟურნალი.

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянск. Грузинская Гимназія *Л. Г. Боцвадзе.*

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წელიწადი მეათე. „ნაკადულზე" წელიწადი მეათე

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი, მოზდილთათვის **12** წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

საჩუქრათ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქეველი მთები", (მრავალი სურათით), გიორგი ანთელავასი.

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. ხელის-მოწერა შეიძლება:

ტფილისში: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, სამტრედიაში—ვლ. ნაცვალიძესთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, გორში—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, სოხუმში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჩიათურაში—ივანე გომელაურთან, განჯაში—ბ. ამბოქაძესთან, ერევანში—კ. ოდიშარიასთან, ყარსში—ივ. საათაშვილთან; ალექსანდროპოლში—ს. შატბერაშვილთან, როსტოვში—მ. კლიმიაშვილთან, ხონში—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.

გამოდის ხელისმოწერა „სასოფლო გაზეთზე,"

24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

წლიური ფასი . . . . 4 მან.

ნახევარი წლის . . . . 2 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:

2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო გაზეთი"

(წელიწადი მეხუთე)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე" ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი" ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი"—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული." ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი

ტფილისში და მის გარეთ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10კ. | 8 მ.—„ | 7მ.10კ. | 6მ.15კ. | 6 მ.—„ | 5მ. 5კ. | 4მ.10კ. | 3მ.15კ. | 3 მ.—„ | 2მ. 5კ. | 1მ.10კ. | —15კ. |

საზღვარ გარეთ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15მ.—„ | 13მ15კ | 12მ.10კ | 11მ.5კ | 10მ.—„ | 8მ15კ | 7მ.10კ. | 6მ. 5კ. | 5 მ.—„ | 3მ.15კ. | 2მ.10კ. | 1მ. 5კ. |

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებული

„ცხოვრება და მეცნიერება,"

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველოს"-ს სასარგებლოთ.

შინაარსი.

პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა ექიმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე ექიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი პ. ქავთარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. ლ. ჟღენტი. ბავშის აღზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 კ.

გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

## რკინის გზა.

| ქუთაისიდან მიდის | | | ქუთაისს მოდის | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. 6 წ. | **ტფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. — |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. | | ფოშტის სალამ. | 6 საათ. 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. 28 წ. |
| **ბათომს:** | სახალხო დილის | 5 საათ. 10 წ. | **ბათომიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 21 წ. | **ფოთიდან:** | სააგარ. დილ. | 10 საათ. 3 წ. |
| **ფოთს:** | საგარაკო დღის | 4 საათ. 22 წ. | | სახალხო დღით | 1 საათ. 20 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 10 წ. | | სახალ. ღამით | 1 საათ. 26 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. 21 წ. | | | |
| **შორაპანს:** | სააგარაკო დღით | 4 საათ. 57 წ. | **შორაპნიდან:** | სააგარ. დილის | 9 საათ. 31 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 7 საათ. 50 წ. | **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. 11 წ. |

ბილეთის ფასი:

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. | | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 | ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 | მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 | პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ჭიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 | ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.